

„08“ ოქტომბერი 2021 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში: „დეპარტამენტი“), წარმოდგენილი გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის განსახლების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - სახით, რომელიც მოქმედებს დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.12.2020წ. N303 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ, „მიწის მესაკუთრე“ (შემდგომში „მიწის მესაკუთრე“), შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება როგორც „მხარეები“, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საფუძველზე აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

**პრეამბულა**

- ა) ვინაიდან გრიგოლეთი - ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის (კმ 0-კმ 14) პროექტი წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს, რომლის განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას;
- ბ) ვინაიდან გრიგოლეთი - ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის (კმ 0-კმ 14) მშენებლობის პროექტის ფარგლებში აუცილებელია 110კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების გადატანა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
- გ) ვინაიდან „მიწის მესაკუთრი“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულია 2000.კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 26.01.56.150) (პირობითი№ 137), რომელსაც კვეთს პრეამბულის „ბ“ პუნქტში მითითებული ელექტროგადამცემი ხაზი/ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზოლი.

აგნობიერებენ რა მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების დადების აუცილებლობას, „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილების შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე:

**1. ტერმინთა განმარტებები.**

- 1.1. „ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ სიტყვებს და ფრაზებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1.1. პროექტი – საერთაშორისო მნიშვნელობის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის (კმ 0-კმ 14) მშენებლობა.
  - 1.1.2. სერვიტუტის პერიოდი - წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ.
  - 1.1.3. სამშენებლო პერიოდი – პროექტის შესაბამისად ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობის პერიოდი.
  - 1.1.5 ელექტროგადამცემი ხაზების საგანგებო ოპერაციები - მოქმედებები, რომელთა დაუყოვნებლივი განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ან აღდგეს „ელექტროგადამცემი ხაზები“-ს მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა (მათ შორის, ავარიის, ლიკვიდაციისა და პრევენციისაკენ მიმართული მოქმედებები).
  - 1.1.6. ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობის ჩვეულებრივი ოპერაციები - დეპარტამენტის, ნებისმიერი „ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომი მესაკუთრის“ ან მათი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა „ელექტროგადამცემი ხაზების“ სარგებლობისთვის და გამოყენებისთვის, მათი ტექნიკური მომსახურებისთვის და ფუნქციონირებისთვის.
  - 1.1.7. ელექტროგადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოები - დეპარტამენტის, ნებისმიერი „ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომი მესაკუთრის“ მიერ ან მათი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა, რათა შენარჩუნდეს „ელექტროგადამცემი ხაზების“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს „ელექტროგადამცემი ხაზების“ შეუფრებელი ექსპლუატაცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა.





1.1.8. ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობის საშუალებები - ყველა ნაგებობა, მოწყობილობა და სხვა საშუალება, რომლებიც ერთად შეადგენენ ელექტროგადამცემი ხაზების იმ ნაწილს, რომელიც „მიწის ნაკვეთზე“ ან მის ზევით არის განთავსებული და, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასთან/რეაბილიტაციასთან/რეკონსტრუქციასთან და ექსპლუატაციასთან.

1.1.9. მიწის ნაკვეთი - „მიწის მესაკუთრი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 26.01.56.150), რომლის მდებარეობა, საზღვრები, ფართობი და სამართლებრივი სტატუსი იდენტიფიცირებულია ხელშეკრულებაზე თანდართული „ამონაწერით საჯარო რეესტრიდან“ (დანართი №1).

1.1.10. სერვიტუტის მიწა - „მიწის ნაკვეთი“ მთლიანად, ან მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომლის საზღვრები გრაფიკულად ასახულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართულ საკადასტრო აზომვით ნახაზზე;

1.1.11. სერვიტუტის უფლება - სახელმწიფოს უფლება ან/და მისი უფლებამონაცვლის უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართალური თითოებიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთი მის სასარგებლოდ ისე გამოიყენოს, რომ მას უფლება ჰქონდეს, ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამორიცხოს მიწის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

1.1.12. შეზღუდვები - ხელშეკრულების მე-6 მუხლში განსაზღვრული შეზღუდვები.

1.1.13. ნაგებობა - 110კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები.

1.1.14. მშენებელი კონტრაქტორი - „დეპარტამენტის“ დაკვეთის საფუძველზე მოქმედი კვალიფიციური სამშენებლო კომპანია, რომელიც დადგენილი წესით შეასრულებს „მიწის ნაკვეთზე“ „პროექტით“ განსაზღვრულ სამუშაოებს;

1.1.15. საჯარო რეესტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურები.

1.1.16. ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომი მესაკუთრე - ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც გადაეცემა ელექტროგადამცემ ხაზებზე საკუთრების უფლება.

1.1.17. განსახლების სამოქმედო გეგმა - გრიგოლეთი - ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის (კმ 0-კმ 14) მშენებლობის პროექტის ფარგლებში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმა.

1.1.18. საზღვარი - მიწის მესაკუთრისთვის გადასახდელი ერთჯერადი კომპენსაცია მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებისთვის და მიწის ნაკვეთის მოცდენისთვის, ასევე, ნარგავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და/ან უძრავი ქონებისათვის, ასევე, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მომსახურების საფასური.

**2. მხარეთა განცხადებები:**

2.1. „მიწის მესაკუთრე“ ამონაწერით „საჯარო რეესტრიდან“ ადასტურებს, რომ არის „მიწის ნაკვეთის“ მესაკუთრე და რომ „მიწის ნაკვეთი“ არის უფლებრივად უნაკლო (მიწასთან და მიწაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არცერთ სხვა პირს არ გააჩნია რაიმე მოთხოვნა, უფლება ან ინტერესი).

2.2. „მიწის მესაკუთრე“ ადასტურებს, რომ ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები ყოველმხრივ ნამდვილი და ზუსტია.

2.3. „მიწის მესაკუთრე“ თანხმობას აცხადებს, რომ სახელმწიფო, „ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომი მესაკუთრე“ და სერვიტუტის უფლების ნებისმიერი მფლობელი უფლებამოსილი არიან, „ელექტროგადამცემ ხაზებზე“ საკუთრების უფლება და „სერვიტუტის უფლება“ განკარგონ ცალმხრივად, მათ შორის „მიწის მესაკუთრი“-ს თანხმობის გარეშე ნებისმიერ დროს გადასცენ ნებისმიერ მესამე პირს.

2.4. „დეპარტამენტი“ ადასტურებს, რომ ის არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირი არის სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი.

**3. ხელშეკრულების საგანი**

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „პროექტის“ ფარგლებში „ელექტროგადამცემი ხაზების“ მოწყობის და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, „დეპარტამენტის“ მიერ „მიწის მესაკუთრი“-ს კერძო საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთის“ სახელმწიფოს სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთვა იმ ფარგლებში, რაც ასახულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართულ საკადასტრო აზომვით ნახაზზე.

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული „სერვიტუტის უფლება“ უვადოა.

**4. უფლებების მინიჭება**

4.1. „ხელშეკრულების“ ძალით და მისი პირობების საფუძველზე, „მიწის მესაკუთრე“ სახელმწიფოს სასარგებლოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით სერვიტუტით ტვირთავს „მიწის ნაკვეთს“ და „დეპარტამენტს“ ანიჭებს თვითონას სერიოზულ პერიოდის განმავლობაში მოწოდების უფლებას სარგებლოს



„მიწის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთით“, „სერვიტუტის მიწის“ ფარგლებში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „სერვიტუტის უფლება“ დადგენილი წესით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

4.2. მას შემდეგ, რაც „დეპარტამენტი“ დაასრულებს „ელექტროგადამცემი ხაზების“ მშენებლობის სამუშაოებს, განახორციელებს „მიწის ნაკვეთის“ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, ის უფლებამოსილი იქნება, „სერვიტუტის უფლება“ „მიწის მესაკუთრი“-ს თანხმობის გარეშე გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს. ამასთან, „მიწის მესაკუთრესთან“ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ჩანაწერს „დეპარტამენტის“ მიერ „მიწის ნაკვეთის“ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის/„მიწის მესაკუთრი“-ს ზიანის ანაზღაურების და „მიწის მესაკუთრი“-ს მხრიდან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით პრეტენზიების არარსებობის შესახებ.

4.3. „სერვიტუტის უფლება“ „ხელშეკრულების“ არსებობის განმავლობაში დაავალდებულებს როგორც „მიწის მესაკუთრი“-ს, ასევე მის უფლებამონაცვლებს/სამართალმემკვიდრეს (მემკვიდრეებს, მიწის ნაკვეთის ყველა შემდგომ მესაკუთრეს, მოსარგებლეს და ყველა სხვა პირს, რომლის საკუთრების/სარგებლობის უფლება სერვიტუტის მიწაზე წარმოიშობა სახელშეკრულებო ან კანონისმიერი საფუძვლით) შეასრულონ „მიწის მესაკუთრი“-ს მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, „სერვიტუტის მიწის“ მესაკუთრის ვინაობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ახალი მესაკუთრე გახდა ხელშეკრულებისა და „სერვიტუტის უფლების“ მხარე ყველა მიზნისათვის და ხელშეკრულებაში არსებული მითითებები - „მიწის მესაკუთრე“, „მხარე“, „მხარეები“, საკუთრების უფლების ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან, ჩაითვლება მითითებად ასეთ ახალ მესაკუთრეზე ყოფილი მესაკუთრის ნაცვლად.

### 5 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. „სერვიტუტის მიწის“ მიმართ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში „დეპარტამენტი“, ნებისმიერი „ელექტროგადამცემი ხაზების“ შემდგომი მესაკუთრე და სერვიტუტის უფლების ნებისმიერი სხვა მფლობელი, აგრეთვე, მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირები ისარგებლებენ შემდეგი უფლებებით:

5.1.1. სერვიტუტის მოქმედების განმავლობაში თავისუფლად შევიდნენ, შეიტანონ და განათავსონ ნებისმიერი მანქანები, მოწყობილობები და მასალა, აგრეთვე, აკრძალონ, შეზღუდონ ან არ დაუშვან „მიწის მესაკუთრი“-ს და/ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ მიწის დაკავება, სარგებლობა, ფლობა და კონტროლი, რამდენადაც ეს აუცილებელია „ელექტროგადამცემი ხაზების“ მოწყობის ოპერაციებისათვის;

5.1.2. განახორციელონ ნებისმიერი და ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა სამშენებლო საქმიანობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს „ელექტროგადამცემი ხაზების“ მოწყობასთან დაკავშირებულ გამწმენდ და გათხრით სამუშაოებს, ნებისმიერ დროს „სამშენებლო პერიოდის“ და „ექსპლოატაციის პერიოდის“ განმავლობაში;

5.1.3. „ელექტროგადამცემი ხაზების“ მშენებლობის დასრულებისთანავე და ნებისმიერ დროს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში განახორციელონ ნებისმიერი და ყველა საქმიანობა „ელექტროგადამცემი ხაზების“ სარგებლობის, მათი ფუნქციონირებისა და გამოყენების მიზნით, რაც მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, დამატებით მშენებლობას და სარგებლობას, აგრეთვე, ნებისმიერ ტექნიკურ მომსახურებას, დაცვას, შეკეთებას, შეცვლას, გადაიარაღებას, განახლებას, განვრცობას, სიმძლავრეების გაფართოებას, განშტოებას, შემოწმებას, დემონტაჟს, ჩანაცვლებას, გაუქმებას და სხვა სამუშაოებს;

5.1.4. შევიდნენ „სერვიტუტის მიწაზე“ „ელექტროგადამცემი ხაზების ჩვეულებრივი ოპერაციების“, „ელექტროგადამცემი ხაზების საგანგებო ოპერაციების“, „ელექტროგადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოების“ შესრულების და/ან „მიწის თანამესაკუთრეები“-ს მიერ ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვების“ შესრულების შემოწმების მიზნით.

5.1.5. განახორციელოს ყველა სხვა აუცილებელი ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ელექტროგადამცემი ხაზების ფუნქციონირებისათვის.

5.2. „მიწის თანამესაკუთრეები“ უზრუნველყოფენ, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც „სერვიტუტის მიწა“ ან მისი რაიმე ნაწილი იქნება მისი ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში ან/და კონტროლის ქვეშ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული „დეპარტამენტის“, „ელექტროგადამცემი ხაზების მესაკუთრის/შემდგომი“ ან სერვიტუტის უფლების ნებისმიერი მფლობელის უფლებების განხორციელება არ შეიზღუდება, არ შეფერხდება, არ დაექვემდებარება რაიმე პირობას, არ შეწყდება და არ მოხდება მათში ჩარევა ნებისმიერი პირის მიერ.

5.3. „დეპარტამენტი“ კისრულობს ვალდებულებას:

5.3.1. გადაუხადოს საზღაური „მიწის თანამესაკუთრეებს“ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად;

5.3.2. სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე განახორციელოს „სერვიტუტის მიწის“ თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენა გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში.



## 6. შეზღუდვები

- 6.1. „მიწის მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, დაიცვას ამ მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვები“. „შეზღუდვები“ არ ვრცელდება „დეპარტამენტზე“ და/ან მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილ სხვა პირებზე.
- 6.2. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში აკრძალულია შესვლა და რაიმე საქმიანობის განხორციელება „სერვიტუტის მიწის“ ტერიტორიაზე.
- 6.3. „მიწის მესაკუთრე“ ვალდებული არის, აცნობოს „მიწის ნაკვეთის“ ყველა მოსარგებლეს და/ან ახალ მესაკუთრეს „შეზღუდვების“ შესახებ.
- 6.4. „მიწის მესაკუთრე“ ვალდებული არის, დაუყოვნებლივ შეატყობინოს „დეპარტამენტს“, ხოლო „ექსპლუატაციის პერიოდში“, ან/და ნებისმიერი „ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომ მესაკუთრეს“ „შეზღუდვების“ ნებისმიერი დარღვევის შესახებ მაშინვე, როგორც კი „მიწის მესაკუთრე“ შეიტყობს ასეთი დარღვევის შესახებ.
- 6.5. „მიწის მესაკუთრე“ სრულად აგებს პასუხს „დეპარტამენტის“ და ნებისმიერი „ელექტროგადამცემი ხაზების შემდგომი მესაკუთრის“ წინაშე პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანისთვის, რაც გამომდინარეობს ან/და დაკავშირებულია „მიწის მესაკუთრის“ ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „შეზღუდვების“ დარღვევასთან.
- 6.6. „მხარეები“ უპირობოდ თანხმდებიან, რომ „პროექტი“ გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ასევე, სერვიტუტის პერიოდის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი „მიწის ნაკვეთის“ საკადასტრო აზომვით ნახაზში (ხელშეკრულების დანართი №2), რათა „ელექტროგადამცემი ხაზების“ უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით დაზუსტებულ იქნეს „სერვიტუტის მიწის“ საზღვრები.
- 6.7 მხარეები თანხმდებიან, რომ სერვიტუტის პერიოდის განმავლობაში ელექტროგადამცემი ხაზების მესაკუთრე/მოსარგებლე ან/და სახელმწიფო უფლებამოსილი მიწის ნაკვეთი გამოიყენოს საპაერო ელექტროგადამცემი ხაზების მიწისქვეშა ელექტროგადამცემ ხაზებად გადასაკეთებლად;

## 7. საზღაური

- 7.1. „დეპარტამენტი“ „მიწის მესაკუთრეს“ გადაუხდის ერთჯერად საზღაურს სერვიტუტით დატვირთულ „მიწის ნაკვეთზე“. „სერვიტუტის ღირებულება“ განსაზღვრულია შ.პ.ს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს მიერ მომზადებული 2021 წლის 26 აგვისტოს დასკვნის შესაბამისად.
- 7.2. „ხელშეკრულების“ 7.1. პუნქტის შესაბამისად სერვიტუტით დატვირთულ „მიწის ნაკვეთზე“ სერვიტუტის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებისთვის და მიწის მოცდენისთვის ერთჯერადი საზღაური შეადგენს - 1 040 (ერთი ათას ორმოცი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. შესაბამისად, აღნიშნული თანხის 20%-ის (საშემოსავლო გადასახადი) გადახდა განხორციელდება ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხა - 832 (რვაასოცდათორმეტი) ლარი ჩაირიცხება მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ანგარიშზე.
- 7.3. „მიწის თანამესაკუთრეებს“ უფლება არა აქვთ, მოითხოვონ „დეპარტამენტისაგან“ ან მათი „მშენებელი კონტრაქტორისაგან“ რაიმე თანხა, საზღაური ან/და ანაზღაურება გარდა ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული საზღაურისა.
- 7.4. ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული საზღაურის, გადახდა განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.
- 7.5. ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მისაღებად საჭირო ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაიღებს „დეპარტამენტი“.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს „სერვიტუტის პერიოდის“ განმავლობაში.
- 8.2. „მიწის მესაკუთრეს“ არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 8.3. „დეპარტამენტს“, ასევე, ნებისმიერ იმ პირს, ვისაც გადაეცემა „სერვიტუტის უფლება“, უფლება აქვს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 9. გამოსაყენებელი სამართალი და დავების მოგვარება

- 9.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



9.2. "მხარეები" შეეცდებიან, რომ ნებისმიერი დავა მოაგვარონ მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები მოლაპარაკების მემგობით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

9.3. დავის არსებობა გავლენას არ იქონიებს და არ ათავისუფლებს "მხარეებს" ვალდებულებისაგან, მკაცრად დაიცვან „შეზღუდვები“, ისევე, როგორც ხელშეკრულების ნებისმიერი და ყველა სხვა პირობა.

**10. სხვა დებულებები**

10.1. ყველა დანართი, დამატება და ცვლილება ხელშეკრულებაში უნდა განხორციელდეს "მხარეების" ხელმოწერით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და არც შემდგომ "მიწის მესაკუთრეს" არ ექნება რაიმე უფლება ან ინტერესი „ ელექტროგადამცემ ხაზებზე“, ისევე, როგორც მიწის ზემოთ ან მის ქვეშ „დეპარტამენტის“, „ელექტროგადამცემი ხაზების მესაკუთრის/შემდგომი მესაკუთრის“ ან/და მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირების მიერ განთავსებული რაიმე სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების მიმართ.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამეგზობლოდ, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "მიწის მესაკუთრეს", ერთი ეგზემპლარი წარედგინება "საჯარო რეესტრს" „სერვიტუტის უფლების“ რეგისტრაციის მიზნით, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „დეპარტამენტს“.

**11. მხარეთა რეკვიზიტები:**

	<p>„დეპარტამენტი“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი -წარმოდგენილი გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის განსახლების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის</p>	<p>„მიწის მესაკუთრე“</p>
<p>სახით</p>	<p>საიდ. ნომერი: საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი ანგარიშის ნომერი</p> <p>მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის NN#12; ტელ:</p>	<p>საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი _____, ანგარიშის N</p>

დანართი №1.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.


დანართი №2.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი – "მიწის ნაკვეთის" და „ელექტროგადამცემი ხაზების“ საზღვრების მითითებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის  
საჯარო რეესტრის მკრმველი სააგენტო  
მთავარი №247  
თბილისი  
საქართველო

(სტილი)

# საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი



მასშტაბი 1:1500



სახელმწიფო გეოდეზიური  
კოორდინატა სისტემა  
WGS\_1984\_UTM\_Zone\_37N



მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატანები		
დანიშნულება	სასოფლო-სამეურნეო	საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ხელმოწერა:
ნაკვეთის ფართობი: 2000 კვ.მ	თარიღი: 2021-08-13	დაინტერესებული პირი	ხელმოწერა:
პირობითი აღნიშვნები	ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი $+$ წერტილი $\bullet$ სერვიტუტი		
შენიშვნა: ს.კ. (სერვიტუტი)	შპს ალფა		
	ს	რილ.	ელ-ფოსტა: r



საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

მიწის ნაკვეთის/ნაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა/მისამართი		ფართობი (კვ.მ)	დანიშნულება
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატანები		2000	სასოფლო-სამეურნეო
შენობა ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა
უფლებრივი შეზღუდვის/დატვირთვის აღწერა	შეზღუდვის/დატვირთვის საზღვრების აღწერა	კალდეულების სახე	განაშენიანების ფართობი (კვ.მ)
საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა	სერვიტუტი	ფართობი (კვ.მ)
A — B	კზა	საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი	26
B — C	კზა		ხელმოწერა
C — D	კზა		
D — A	კზა		
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი		რეალური დროის რეჟიმში (RTK);	
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები		2021-08-13	
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია		დავით რობაქიძე	
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია			
აზომვის შესრულების თარიღი			
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა			
დაინტერესებული პირი			
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები			
დაინტერესებული პირის ხელმოწერა			



საქსტატო